

მონასტრის გაღობის დისკზე თავფურცლად დავდეთ ჩვენი მოძღვრის, აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის სიტყვები, რომლებიც მან ჩვენთვის სამახსოვროდ 2012 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცემულ სეგტიცხოვლის სამგალობლო სკოლის სანოტო წიგნზე დაწერა: „ღვთის სადიდებლად იგალობეთ თავმდაბლად, სულით და გულით...“

1992 წლის 24 მაისი მეუფე დავითის სეგტიცხოველში ეპისკოპოსად ხელდასმის დღეა. ეს დღე ჩვენი მონაზვნური ცხოვრების დასაწყისიცაა. მისი ღოცვა-კურთხევით ერთი წელი ნიკორწმინდაში, შემდეგ ბოდბეში, 1993 წლიდან კი ალავერდის ეპარქიის თელავის ღვთაების მონასტერში გამოცდილით საკუთარ სურვილს, შევდგომოდით მონაზვნურ მოქალაქეობას.

1994-1995 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ისა და ჩვენი მოძღვრის, აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ღოცვა-კურთხევით გავემგზავრეთ საბერძნეთში, კუნძულ თასოსზე ათონის წმინდა მთის ფილოთეოს მონასტრის დედათა მეტოქიონში – მთავარანგელოზ მიქაელის მონასტერში. წასვლის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან კურთხევის ასაღებად მისულები მისმა უწმინდესობამ დაგვარიგა: „მთავარი, რაც თქვენ საბერძნეთში უნდა შეიძინოთ, სუღიერებაა. აუცილებლად უნდა შეისწავლოთ ბერძნული ენა... მინდა ყველამ იმეცადინოთ ხატწერაში... ისწავლეთ თავმდაბლობა და მორჩილება. საბერძნეთში თქვენ იქნებით ჩვენი ეკლესიის სახე, თქვენი მეშვეობით შეექმნებათ აზრი

ქართულ ეკლესიაზე. აუცილებლად ჩასვლის დღიდანვე აწარმოეთ დღიური, დაწვრილებით აღწერეთ ყველაფერი, რასაც ნახავთ თუ მოისმენთ, სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი. ეს საჭიროა!“ დალოცვისას კი გვითხრა: „ილოცეთ, მთავარია ღოცვა. აუცილებელია. მეც ნუ დამივიწყებთ თქვენს წმინდა ღოცვებში“. საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოსულებმა ჩვენს დღიურში, პირველ რიგში, პატრიარქის ეს დარიგება ჩავწერეთ.

მისი ღოცვა-კურთხევით გამხსნელებულები მთავარანგელოზის მონასტერში შევუდექით მონაზვნური ცხოვრების სწავლას, სადაც მთავარი „მეცნიერებათა მეცნიერება, ეშმაკზე, სოფელსა და საკუთარ თავზე გამარჯვების ხელოვნების“ სწავლაა. მონასტრის წინამძღვრის, ილუმენია ეფრემიას, ხელშეწყობით მოგვეცა საშუალება, გვესწავლა ბერძნული ენა, ხატწერა. მონასტრის მგალობელთა გუნდის სამეცადინოდ თასოსზე ჩამოდიოდა ბიზანტიური გალობის მასწავლებელი; ჩვენც ვესწავებოდით გაკვეთილებს, თუმცა რამდენიმე საგალობლის სწავლა მოვასწარიტ მხოლოდ. ამ მხრივ არც ბერძენი დები ჩამოგერჩებოდნენ – ისინი ჩვენგან სწავლობდნენ ქართულ საგალობლებს, ქართული „ქრისტე აღდგა“ დღესაც კარგად ახსოვთ.

საქართველოში დაბრუნებულები მეუფე დავითის ღოცვა-კურთხევით ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტერში დავემკვიდრეთ. მონასტერი ღვთისმებრძოლი ათეისტური რეჟიმით დაცარიელებული და გავერანებული იყო. „საძაგელი მოოხრებისა“ – წმინდა წერილის ეს სიტყვები განსაზღვრავს მონასტრის მაშინდელ მდგომარეობას. თუმცა გაცილებით იოლია, აღდგეს დანგრეული შენობები და მორღვეული სამონასტრო მეურნეობა, ვიდრე სულიერი და საღვთისმსახურო ტრადიცია, რომლის განუყოფელი ნაწილია საეკლესიო გალობა.

სამშობლოში ჩამოსულებმა პირველად ჩვენი მოძღვრისგან, მეუფე დავითისგან, გავიგეთ, რომ ნოტებზე ჩაწერილი ტრადიციული ქართული გალობა ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. მისი სურვილი და ღოცვა-კურთხევა იყო, მონასტერში ღვთისმსახურება ტრადიციული ქართული გალობით ყოფილიყო. ჩვენ ვხედავდით და ვიზიარებდით მის ტკივილსა და მოსაზრებას ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ტრადიციული ქართული გალობის ღვთისმსახურების პრაქტიკაში აღდგენასა და შენარჩუნებას შეეხებოდა. გადავწყვიტეთ ჩვენი მონასტრის დღესასწაული – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა – ტრადიციული ქართული გალობით გვეხეიმა. დღესასწაულამდე კი მხოლოდ ერთი კვირა იყო დარჩენილი...

მეუფის თხოვნით მონასტერში ჩამოვიდა მუსიკათმცოდნე და მგალობელი ქეთევან მათიაშვილი. მისი დიდი ძალისხმევითა და დახმარებით მონასტრის გუნდმა შეძლო, ამ მოკლე დროში ესწავლა გელათის სკოლის საგალობლები – მწუხრი, ცისკარი, ლიტურგია – და ჩვენი კრებულისთვის პირველი შუამთობა ამ დიდებული

საგალობლებით აღგვენიშნა.

დღესასწაულის შემდეგ, ქეთევან მათიაშვილის რეკომენდაციით გუნდის მეცადინეობა მასთან ერთად განაგრძო მგალობელმა ლელა ურუშაძემ. მონასტრისთვის ეს იყო ტრადიციული ქართული გალობის „აღმოჩენის“ უმშვენიერესი წლები.

ახალი შუამთის ხასულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტიპიკონში, რომელიც პეტრიწონის ძველ ქართულ ტიპიკონს ემყარება, თაობებისთვის გადასაცემად მონასტრის დღევანდელმა კრებულმა დაადგინა: „მონასტერში ღვთისმსახურება ტრადიციული ქართული გალობით აღესრულებოდეს. წინამძღვარნი და სავანის დები ფრიად დაშვრნენ და იშრომეს, რათა ქართული გალობის ტრადიციული წესი აღედგინათ“.

ტრადიციულ ქართულ გალობასთან ერთად ვსწავლობდით მონასტრის ისტორიასაც. გვახარებდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო იმ წმინდა ადგილთან, სადაც ღვთიუმონიჭებული პატივით დავემკვიდრეთ.

2013 წელს მონასტერში გადმოვასვენეთ ბოლშევიკური რეჟიმისგან დევნილი შუამთელი ბერები – მონასტრის ბოლო წინამძღვარი, იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე) და არქიმანდრიტი იოსები (ლაგაზიშვილი). მათი ბიოგრაფიიდან გავიგეთ, რომ შუამთელი ბერები თავისი დროის გამოჩენილი მგალობლები ყოფილან, ხოლო ახალი შუამთის მონასტერი საუკეთესო სამგალობლო ტრადიციის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა.

მამა ნიკოლოზმა (1854-1929) საღმრთო წერილი, გალობა და

საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. ის ჯერ მარტვილის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტად დანიშნეს, შემდეგ კი ახალი შუამთის მონასტერში გადმოიყვანეს და თავიდან აქაც გუნდის ხელმძღვანელობა ჩააბარეს. იღუმენი ნიკოლოზი 40 წელი მოღვაწეობდა ახალი შუამთის მონასტერში. მისი სულიერი წინამძღვრობით აღიკვეცა მონაზვნად არქიმანდრიტი იოსები (1879-1956). წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი მამა იოსებმა ახალი შუამთის მონასტერში ისწავლა. 1915 წელს, როგორც გამორჩეული მგალობელი, ბერი იოსები ახალი შუამთიდან აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე გააგზავნეს. დიდი მწერლისა და მამულიშვილის წესის აგებაზე ის გიორგი ეპიტაშვილის ცნობილ გუნდთან ერთად გალობდა. არქიმანდრიტ იოსების გადმოსვენების დროს სოფელ რუისპირში ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ასსოვდათ მამა იოსების ტკბილხმიანი გალობა და ქართული მრავალხმიანობის საუკეთესო ნიმუშების მღერა.

2008 წლის გაზაფხული, ზატიკის პერიოდი იყო. მწუხრის ღოცვაზე მონასტრის გუნდი გალობდა. ღოცვის დამთავრების შემდეგ გავიგეთ, რომ ღოცვას ესწრებოდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მაშინდელი ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი. მან შემოგვთავაზა, ჩაწერილიყო მონასტრის გალობა, რაც ძალიან მალე განხორციელდა კიდევ. საგალობლების ჩასაწერად შუამთაში ჩამოვიდნენ და დიდი შრომა გასწიეს ნატო ზუმბაძემ, არჩილ ბურჭულაძემ, თემურ ყანაველმა და სოფო ლობჯანიძემ.

მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ვფიქრობთ, სწორედ ახლა დადგა ის დრო, როცა ამ საგალობლების დისკო უნდა გამოიცეს. 2018 წელს აღენიშნავთ ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პატრიარქობის 40 წელს. სწორედ ამ საიუბილეო თარიღს ეუძღვნით მონასტრის გაღობის დისკის გამოცემას.

ერთი დისკისთვის თითქოს ვრცელი ისტორია დავწერეთ... სინამდვილეში, აქ დაწერილი ახალი შუამთის მონასტრის მართლაც დიდი ისტორიის მცირეზე მცირე ნაწილია, მაგრამ ვფიქრობთ, არც ესაა გასამეტებელი დაეწეებისთვის.

მცოდნე ადამიანი მუსიკალური თვალსაზრისით ალბათ ბევრ ხარვეზს აღმოაჩენს ჩვენს გალობაში, რისთვისაც შენდობას ვითხოვთ მსმენელისგან.

გმადლობთ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი დონაძეს თანადგომისთვის.

გმადლობთ ხმის რეჟისორ ილია ჯღარკავას და დიზაინერ ნიკოლოზ გოგაშვილს გაწეული შრომისთვის.

გმადლობთ თითოეულ ადამიანს, რომლებიც ზემოთ მოვიხსენეთ და ვინც წვლილი შეიტანა ამ დისკის გამოცემაში.

გმადლობთ ღმერთს, რომ გვაკურთხა, გალობით ვადიდებდეთ მას.

ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს კი ვთხოვთ –
კადნიერებისათვის საქმისა ამისა შემნდობელ გვექმენ.

იღუმენია იოანა ქრისტესმიერ დებთან ერთად



ვაჟლოტღეთ ღმერთს
ჟოვალთავის ჟვალჟჟრისათვის:
კათილი მიტეთ უფლის მიერ მოყვას,
რომელმაც არცა ღმერთ, არცა ცოდნა
არაღიშურა თქვენთვის:
სიტყვით ღა სანშით იმართეთ
ჭეუბარიტი ქრისტიანები:
მრთავნთის სიმძივით იტვირთეთ
ანსეთ აღასრულეთ სჯული
ქრისტიანი

მესამე წელიწადი 1890 წელს.



გამოცემაზე მუშაობდნენ:

რედაქტორი:

ქეთევან მათიაშვილი

ხმის რეჟისორი:

ილია ჯღარკავა

დიზაინერი:

ნიკოლოზ გოგაშვილი

The publication was prepared by:

Editor:

Ketevan Matiashvili

Sound producer:

Ilia Jgharkava

Design by:

Nikoloz Gogashvili



საპოლკორაშო მემკვიდრეობის
ცენტრი
THE POLKORA STATE CENTRE
OF GEORGIA

©2019



1. მთასა ზედა ფერი ირვალე. ფერისრვალეზის ტროპარი, ხმა გ
2. კურთხეულ ხარ შენ. სულთმოფენობის ტროპარი, ხმა მ
3. გადიდებთ შენ. ნმ. იოანე ნინამორბედის შობის სადიდებელი.
4. საიდუმლო სამოთხე ხარ. ჭვართამაღლეზის თ გალოზის ძლისპირი
5. დღეს რხოვრეზისა ჩვენისა. ხარეზის ტროპარი, ხმა ფ
6. წერილთა მიერ სჯულისათა. მირქმის თ გალოზის ძლისპირი
7. შობამან შენმან. ღმრთისმშობლის შობის ტროპარი, ხმა ა
8. საიდუმლო ურხო. ქრისტეშობის თ გალოზის ძლისპირი
9. არხოვნე, უფალო. ჭვართამაღლეზის ტროპარი, ხმა ა
10. ძლიეულ იქმნეს. ღმრთისმშობლის მიძინეზის თ გალოზის ძლისპირი
11. რომელმან ჰმეც მთიერე. ღმრთისმშობლის შობის თ გალოზის ძლისპირი
12. ვერ შემძლეველ ვართ. ნათლისღეზის თ გალოზის ძლისპირი
13. შობა შენი უხრწნელ არს. ფერისრვალეზის თ გალოზის ძლისპირი
14. ხსენება მართლისა. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ტროპარი, ხმა ზ
15. დღეს საღმრთო მან მაღლომან. გზობის დასდებელი, ხმა ვ
16. დღეს რხოვრება არს. აღდგომის ტროპარი



ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის მგალოზელთა გუნდი